

ვამტკიცებ

29.06.2009წ.

რექტორი /ნ. არდაშელია/

ხარისხის მართვის სამსახურის

ხელმძღვანელი: /ნ. ჩხარტიშვილი/

სოხუმის პროფესორ აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულება

ს ა მ ა გ ი ს ტ რ ი პ რ ო გ რ ა მ ა

ბიზნესი და მართვა

სპეციალიზაცია: ფინანსები და საბანკო საქმე

2009 წ

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი
თემური ღვინიაძე

ნიკეას II შეს. № 6 ბ.30
ქუთაისი, საქართველო
ტელეფონი: პირადი 893 18-83-53

დაბადების თარიღი: 09.05.1951

განათლება და სამეცნიერო ხარისხი: უმაღლესი, ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორი, სრული პროფესორი.

სამუშაო ადგილი: სოხუმის პროფესორ აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის
ეკონომიკურ ჰუმანიტარული უნივერსიტეტი.
ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი,
მიმართულების ხელმძღვანელი.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების რაოდენობა: 26; გამოგონება-2;
სახელმძღვანელო მეთოდური მითითებებით-2.

კონტაქტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამეცნიერო ინტერესების სფერო: ლაბორატორიული და სასწავლო
ექსპერიმენტების მათემატიკური დადგენა და
ოპტიმიზაცია.

ენები სამეცნიერო მუშაობისათვის და საკონტაქტოდ: ქართული, რუსული.
გერმანული.

პროგრამის შესრულებას უზრუნველყოფს: სრული პროფესორი
თემური ღვინიანიძე,

პროგრამის არსი:

პროგრამა ორიენტირებულია საუნივერსიტეტო განათლების მიღებაზე, კვლევაზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება- განვითარებაზე.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება ბიზნესის მართვის მაგისტრის (სპეციალიზაცია: ფინანსები და საბანკო საქმე) აკადემიური ხარისხი.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

აღნიშნული სპეციალობით სამაგისტრო სწავლის უმთავრესი მიზანია:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მიღებისა და პროფესიული ცოდნის შეძენისათვის სავალდებულო, სოციალურ - პოლიტიკური, ეკონომიკური, მართვის მეცნიერებათა საფუძველმდებარე პრინციპებისა და აქტუალური საკითხების შესწავლა;
- კონკრეტული ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლება და ფინანსების და საბანკო საქმიანობის სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- საფინანსო, საბანკო დაწესებულებებსა და კომერციული სტრუქტურების ეკონომიკურ-საფინანსო სამსახურებში პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - განვითარება;
- დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისათვის მომზადება.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლების უმთავრესი ამოცანებია:

- ფინანსების და საბანკო სფეროში არსებული სიახლეების, სამეურნეო კონიუნქტურის განვითარების ტენდენციების გაცნობა და მართვის საკვანძო საკითხების შესახებ ცოდნის სისტემატიზება.
- განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად პროფესიული სრულყოფისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ დისციპლინათა სიღრმისეული შესწავლა, ეკონომიკური მსოფლმხედველობის ფორმირება;
- კონკრეტული ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიათა დაუფლება;
- ფინანსებისა და საბანკო საქმის საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების წაკითხვის, ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების უნარ-ჩვევათა გამომუშავება;\
- საფინანსო-საკრედიტო სისტემის სფეროში საორგანიზაციო-მმართველობით ღონისძიებათა დასახვა - განხორციელების პრაქტიკულ ჩვევათა გამომუშავება.

მოსალოდნელი შედეგები:

საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისების შემდგომ

- კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს ეკონომიკისა და ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობათა მართვის სხვადასხვა სფეროების სისტემური ცოდნა და სათანადოდ უნდა გაიაზროს ფულად, საფინანსო, საკრედიტო ბერკეტების კავშირ-მიმართება მონათესავე სფეროებთან, აგრეთვე განსაზღვროს ამ მიმართების არსი და მნიშვნელობა. მას წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებსა და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების მართვის სრულყოფის პერსპექტივებზე, ამ სისტემის განვითარების მიმართულებებსა და განსახორციელებელ ღონისძიებებზე.
- მაგისტრმა უნდა იცოდეს საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობების განხორციელების სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული ასპექტები; იგი სათანადოდ უნდა ერკვეოდეს ფინანსური ბერკეტების მართვის პრინციპებში, თანამედროვე კონცეფციებსა და მოდელებში; საფინანსო-საბანკო ორგანიზაციების ფუნქციებსა და კომპეტენციებში; ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ფინანსური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდებში.
- მაგისტრი უნდა ფლობდეს პროფესიული და კვლევითი საქმიანობის სფეროში ოპერატიული ინფორმაციის მოძიების, პირველადი მონაცემების ინტერპრეტაციის, შეფასების, დამუშავებისა და შენახვის ტექნოლოგიებს;
- მაგისტრმა სწავლების ორ საფეხურზე შეძენილი ცოდნისა და რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე, უნდა შეძლოს საერთოდ ეკონომიკისა და განსაკუთრებით ფულად, საფინანსო და საბანკო სფეროში მიმდინარე პროცესების ახსნა-ანალიზი, კვლევა და განზოგადება, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვითარების ცვლილების ობიექტური შეფასება; სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების, საწარმოების, ფირმების, საბიუჯეტო, საბანკო და სადაზღვევო ორგანიზაციების ფინანსების ფორმირების, რესურსების განაწილება-გამოყენება, უნდა იცოდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვა, დამტკიცების, ეკონომიკის დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების, ფულის მიმოქცევის პროცესების საკვანძო საკითხები; თავის კომპეტენციის ფარგლებში ეკონომიკურ-ფინანსური რესურსების ეფექტურად მართვა.

დასაქმების სფერო:

პროფესიული მომზადების, სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და კვლევითი, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებულ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს: საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაზღვევო, საბაჟო და საგადასახადო ორგანოებში, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებებში, სახელმწიფო მართვის ორგანოების საფინანსო და კომერციულ სტრუქტურულ რგოლებში, დაიკავოს "ხელმძღვანელის," "სპეციალისტის" ან აღნიშნული კატეგორიის სხვა თანამდებობა სახელმწიფო და კომერციული მართვის სტრუქტურაში; მას შეუძლია დასაქმდეს აგრეთვე ნებისმიერი ორგანიზაციის ეკონომისტ-მენეჯერის თანამდებობაზე და განახორციელოს პროფესიული საქმიანობის შესაბამისი სახე.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- აუცილებელია ბაკალავრის ხარისხი ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით
- მაგისტრატურაში სწავლების უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ დიპლომირებულ სპეციალისტებს.
 - მაგისტრატურაში მიღება ექვემდებარება კონკურსს
 - ტარდება ტესტირება,
 - ტესტირების გავლის შემდეგ კანდიდატურასთან ხდება გასაუბრება.
 - ამ პროცედურის გავლის შემდეგ მსურველი ჩაირიცხება სამაგისტრო პროგრამაზე.

სწავლების ფორმატი:

ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, რეფერატი.

სტუდენტის შეფასების მეთოდი

1. I შუალედური გამოცდა - 25 %
2. II შუალედური გამოცდა - 25 %
3. სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) – 10%
4. საბოლოო გამოცდა- 40%

შეფასების სისტემა

91-100	ფრიადი
81-90	ძალიან კარგი
71- 80	კარგი
61- 70	საშუალო
51-60	დამაკმაყოფილებელი
41-50	არადამაკმაყოფილებელი

პროგრამის სტრუქტურა:

	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი (სავალდებულო ან არჩევითი)	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
				სემესტრები			
				I	II	III	IV
	სპეციალობის სავალდებულო		50				
1	ფინანსები, ფული და კრედიტი	სავალდებულო	5	5			
2	ფინანსური სისტემა, ანგარიშგება და რეგულირება	სავალდებულო	5	5			
3	ეკონომეტრიკა	სავალდებულო	5	5			
4	დაზღვევის სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნებში	სავალდებულო	5	5			
5	ბიუჯეტი და ბიუჯეტური სისტემა	სავალდებულო	5		5		
6	სადაზღვევო საქმე	სავალდებულო	5		5		
7	მსოფლიო ფინანსები	სავალდებულო	5			5	
8	ბანკები და საბანკო ოპერაციები	სავალდებულო	5			5	
9	საბანკო მენეჯმენტი	სავალდებულო	5			5	
10	ფინანსური მენეჯმენტი	სავალდებულო	5			5	
	არჩევითი		15	5	5	5	
1	საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო მექანიზმი	არჩევითი		(5)			
2	სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები	არჩევითი		(5)			
3	ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა	არჩევითი		(5)			
4	საქართველოს საფინანსო სისტემა	არჩევითი			(5)		
5	საფინანსო სამართალი	არჩევითი			(5)		
6	ინვესტიციები	არჩევითი				(5)	
7	დაზღვევის სამართალი	არჩევითი				(5)	
	საუნივერსიტეტო სავალდებულო		25				
1	უმალესი სკოლის პედაგოგიკა	სავალდებულო	5		5		
2	უცხო ენა	სავალდებულო	10	5	5		
3	საკურსო შრომა	სავალდებულო	10		5	5	
4	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	10				10
5	სამაგისტრო შრომა	სავალდებულო	20				20
	ს უ ლ:		120	30	30	30	30

შენიშვნა:

სამაგისტრო პროგრამის დამთავრებისას მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. მას ენიჭება ბიზნესის მართვის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე.

საგნების ანოტაციები

ფინანსები, ფული და კრედიტი

კურსი სწავლობს საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს (ფირმის) სტრუქტურას, ფინანსებსა და კრედიტებს, საზოგადოებრივ პირობებში ფულის მიმოქცევის რეგულირების პრობლემა დგას ყველა ქვეყნის წინაშე და განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკის წინაშე. ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფულის და ფულადი სისტემის საკითხების შესწავლას. ფულადი სისტემის განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრედიტის სრულყოფას და საკრედიტო სისტემის სწორ ორგანიზაციას.

ფინანსური სისტემა, ანგარიშგება და რეგულირება

მაგისტრებისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის არსის, სტრუქტურისა და როლის, ასევე ფინანსური ანგარიშგებისა და სტრატეგიის მნიშვნელობა. იმის გაგება თუ, როგორაა დაკავშირებული ფინანსური სისტემა ძირითად მაკროეკონომიკურ ცვლადებთან. რას ნიშნავს ფინანსურ ბაზრებზე სასესხო კაპიტალის მიწოდებისა და მოთხოვნის მოდელი და მასთან დაკავშირებული სამთარებო პოლიტიკა, როგორ მოქმედებს სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტი ქვეყნის ეკონომიკაზე, ფინანსური ისტიტუტების მნიშვნელობა ფინანსური სახსრების მიწოდების რეგულირებაში. რომ საბაზრო ეკონომიკის ფინანსურ სისტემაში შედის სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტი, დაზღვევის ფონდები, სხვადასხვა სახის ავტონომიური ნუსხები არასაბიუჯეტო ფონდები და ანგარიშები, სახელმწიფო საწარმოთა ფინანსები.

აღნიშნული კურსი მოიცავს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორცაა: *ფინანსური სისტემის სტრუქტურა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში, ფინანსური ბაზრები, ფინანსური შუამავლები და მათი დახასიათება, სასესხო კაპიტალის ბაზარი, სასესხო კაპიტალის მოთხოვნა-მიწოდების მოდელი და სამთავრობო პოლიტიკა, დანაზოგები და ინვესტიციების არსი, დანაზოგები და ინვესტიციები ეროვნულ საშემოსავლო ანგარიშებზე, ეროვნული შემოსავლის აღრიცხვის წესები, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და მისი გავლენა ეკონომიკაზე.*

აღნიშნული კურსის გავლა მაგისტრანტს საშუალებას მისცემს შეიძინოს საჭირო განათლება ფინანსური სისტემის არსზე, სტრუქტურასა და მნიშვნელობაზე, ფინანსურ ანგარიშგებასა და რეგულირებაზე.

ეკონომეტრიკა

ეკონომეტრიკა, მეცნიერების დარგია, რომელიც მაგისტრანტს ასწავლის ეკონომიკური ობიექტებისა და პროცესების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების კომპლექსურ კვლევას მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდებისა და მოდელების დახმარებით.

მაგისტრანტი, ეკონომეტრიკის ტრადიციული და თანამედროვე კვლევის მეთოდებით შეისწავლის კონკრეტულ მაგალითებს, მათი შემდგომი გამოყენებისათვის პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად.

კურსში მაგისტრანტი სწავლობს: *თანამედროვე ეკონომეტრიკის სტრუქტურას, გაზომვების თეორიის საფუძვლებს, რიცხვითი სიდიდეების სტატისტიკურ ანა-*

ლიზს, მრავალგანზომილებიან სტატისტიკურ ანალიზს, დროითი მწკრივების ეკონომეტრიკას, ინფლაციის ეკონომეტრულ ანალიზს, არარიცხვითი მონაცემების სტატისტიკას, ინტერვალურ მონაცემთა სტატისტიკას, ეკონომეტრულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ექსპერტული კვლევებისა და ექსპერტული შეფასებების ჩატარების ეკონომეტრიკულ მეთოდებს, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის მართვისა და სერტიფიკაციის ეკონომეტრიკულ მეთოდებს, პროგნოზირებისა და რისკის ეკონომეტრიკას და ეკონომეტრიკის თანამედროვე მეთოდებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო მექანიზმი

მაგისტრანტმა უნდა იცოდეს, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტები და მექანიზმები, ეროვნული ბანკის მიერ საბანკო სისტემის რეგულირება და მართებული ფუნქციონირება, ეროვნული ბანკის მიერ ფულის მიწოდების კონტროლი, შესაბამისი ვალდებულებები, პასუხისმგებლობა და ძირითადი ფუნქციები.

მაგისტრი ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მექანიზმების შესწავლისას, კარგად უნდა ერკვეოდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნებში და კონტროლის ისეთ მექანიზმებში, როგორცაა: - ოპერაციები ღია ბაზარზე, სარეზერვო ნორმის ცვლილება და სააღრიცხვო განაკვეთის ცვლილება.

მაგისტრი ასევე უნდა ერკვეოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებში.

ბიუჯეტი და საბიუჯეტო სისტემა

აღნიშნულ დისციპლინაში სტუდენტი სწავლობს სახელმწიფო ბიუჯეტსა და საბიუჯეტო სისტემას. ეცნობა თუ როგორ გამოიყენება ბიუჯეტი, როგორც სამთავრობო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტი, ეკონომიკური საქმიანობის გასაუმჯობესებლად და დარღვეული მაკროეკონომიკური წონასწორობის აღსადგენად. სწავლობს შემოსავლებისა და გასავლების ბალანსირებულ და დაუბალანსებელ (დეფიციტურ) მდგომარეობას. რა მიზეზებმა შეიძლება გამოიწვიოს ბიუჯეტის გარდამეტი და დეფიციტი, რა კავშირი არსებობს ბიუჯეტის დეფიციტსა და ფისკალურ-სავალუტო პოლიტიკას შორის, დეფიციტი ამცირებს თუ ადიდებს ინვესტიციებს, რამდენად სერიოზულია სახელმწიფო ვალის რაოდენობრივი ზრდა, რომ სახელმწიფო შემოსავლების ძირითადი წყაროა გადასახადები, რომ გადასახადების სტრუქტურა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სიმწიფეზე, რას ნიშნავს არასაგადასახადო შემოსავლები, რა არის სახელმწიფო ხარჯები და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში, რა არის ბიუჯეტის სტრუქტურული და ციკლური დეფიციტი, დეფიციტის დაფინანსების წყაროები, რა არის ბიუჯეტის ზრდისა და სიმკაცრის ლოგიკა, როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია საბიუჯეტო შემოსავლები და საგადასახადო განაკვეთები ლაფერის მრუდით და ა.შ .

სადაზღვევო საქმე

აღნიშნული დისციპლინა მაგისტრანტს შეასწავლის:- გაუთვალისწინებელი ხარჯების დაგეგმვას, როგორ ანაწილებს დაზღვევა დანაკარგების რისკს, სიცოცხლის (ვადიანი დაზღვევა, სამუდამო დაზღვევა და დაზღვევა ანაბარი) არსს, ჯანმრთელობის (სამედიცინო დაზღვევასა და შემოსავლების დაზღვევას შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში) დაზღვევის არსსა და მნიშვნელობას, ქონებისა და გადახდისუნარიანობის დაზღვევის არსს, რომ შემოსავლების გადანაწილების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სოციალური დაზღვევა.

სტუდენტი ეცნობა: - ინდივიდუალური და ჯგუფური დაზღვევის წესებს, ინდივიდუალური და ჯგუფური დაზღვევის გამოყენების ალტერნატივებს, სადაზღვევო პოლისის მნიშვნელობასა და არსს, ჯგუფური დაზღვევის ისეთ ფორმებს, როგორცაა - ჯანმრთელობის პროფილაქტიკის ორგანიზაციები, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაზღვევის არსს, რომ დაზღვევა არის ნებისმიერი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და ა.შ.

საქართველოს საფინანსო სისტემა

ეს დისციპლინა მაგისტრანტს შეასწავლის ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ფინანსური შინაარსის სხვადასხვა რგოლის ერთობლიობას, რომელთა საშუალებით ხორციელდება ფულადი საშუალებების წარმოქმნა და გამოყენება, რომ საბაზრო ეკონომიკის ფინანსურ სისტემაში შედის სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტი, დაზღვევის ფონდები, სხვადასხვა სახის ავტონომიური ნუსხები, არასაბიუჯეტო ფონდები და ანგარიშები, სახელმწიფო საწარმოთა ფინანსები.

სტუდენტი სწავლობს, რომ სახელმწიფო ფინანსური სისტემის ძირითადი რგოლია სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის მეშვეობით ხორციელდება ქვეყნის მეპ-ის მნიშვნელოვანი ნაწილის გადანაწილება, რომ ბიუჯეტის განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა, გადასახადების ჯამური ეფექტის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რომ ფართო გაგებით ქვეყნის ფინანსური სისტემა მოიცავს საბანკო სფეროსაც, ეცნობა ფულადსაკრედიტო ფუნქციებსა და ოპერაციებს, ეცნობა საქართველოს მონეტარული სისტემის მდგომარეობასა და ფულზე მოთხოვნის ფაქტორებს, ანტიინფლაციური პოლიტიკის არსს და მის გავლენას საგადასახდელო ბალანსზე.

ბანკები და საბანკო ოპერაციები

” ბანკები და საბანკო ოპერაციები ” ეკონომიკურ მეცნიერებათა კომპლექსურ სპექტრში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაგმატულ-გამოყენებითი სასწავლო დისციპლინაა, რომლის შესწავლა სხვა ფუნდამენტალურ ეკონომიკურ დისციპლინებთან ერთად აუცილებელია სრულყოფილი ეკონომიკური განათლების მისაღებად.

სასწავლო კურსის მიზანია დაეხმაროს მაგისტრანტებს სრულყოფილი ეკონომიკური განათლების მიღებასა და ეკონომიკური აზროვნების განვითარება-გაფართოებაში, კერძოდ *თუ რაოდენ, მნიშვნელოვანია საბანკო სისტემების როლი ეკონომიკაში, ფულის მიმოქცევის, საკრედიტო ურთიერთობებისა და საბაზრო საქმიანობის პროცესებთან დაკავშირებული მოვლენების მართვის ინსტრუმენტებისა*

და მეთოდების დაუფლებაში, რას ნიშნავს ბანკის რეზერვები, როგორ ზრდის სეხები ფულის მიწოდებას, რას ნიშნავს დეპოზიტური მულტიპლიკატორი, ფედერალური სარეზერვო სისტემის საქმიანობა და ა.შ.

ინვესტიციები

” ინვესტიციები ” ეკონომიკური განათლების ერთიან კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინაა, რომელიც სხვა ეკონომიკურ დისციპლინებთან ერთად მაგისტრანს ასწავლის- ინვესტირების არსს, როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის ეფექტიანობასა და ზრდაში, რომ ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები ერთი პიროვნების დანაზოგს მეორე პიროვნების ინვესტიციებისათვის იყენებენ, სწავლობს სასესხო კაპიტალის ბაზრების როლსა და მნიშვნელობას, სასესხო კაპიტალის მიწოდებასა და მოთხოვნას, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეფექტს ინვესტირებაზე და ა.შ.

კურსის საფუძვლიანი შესწავლა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თანამედროვე დონის მაღალკვალიფიციური ეკონომისტების მომზადებისათვის.

დაზღვევის სისტემა საზღვარგარეთის ქვეყნებში

კურსი მიმოიხილავს დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკურ არსს, მის წარმოშობასა და განვითარებას, სადაზღვეო საქმიანობის კლასიფიკაციასა და მის ფორმებს, სადაზღვეო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს საზღვარგარეთის ქვეყნებში.

სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსები

კურსი განიხილავს ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებს, კურსი აერთიანებს შემდეგ თემებს: საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო რეგულირების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მშპ-ს ზრდას, რაციონალურ დასაქმებას, ფულად-საკრედიტო სფეროს ეფექტიან განვითარებასა და ინფლაციის რეგულირებას, მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს. საგანი ასწავლის საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინებას, საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ფინანსების, განსაკუთრებით სახელმწიფო ფინანსების მართვის თავისებურებების წარმოჩენას.

ფასიანი ქაღალდები და საფონდო ბირჟა

კურსი მოიცავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მიმოიხილვას, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის სტრუქტურასა და მნიშვნელობას, მართვის თავისებურებებს. საგანი შეასწავლის სტუდენტებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის თანამედროვე ინფრასტრუქტურებს უცხოური და შიდა საინვესტიციო რესურსების მაქსიმალურ მოზიდვას ეკონომიკაში, მის გადანაწილებას დარგებს შორის.

საბანკო მენეჯმენტი

საგანი მიმოიხილავს საბანკო მენეჯმენტის მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხებს. საბანკო მენეჯმენტი არის მეცნიერება ყველაზე უფრო რაციონალური ორგანიზაციისა და მისი მართვის შესახებ. მას გააჩნია განსაზღვრული სპეციფიკა, რაც გამომდინარეობს ქვეგანყოფილებების საქმიანობის ხასიათიდან და შრომის საზოგადოებრივი დანაწილებითაა განპირობებული. ამ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელშეკრულებო ურთიერთობებს, რომელიც ატარებს პარტნიორულ ხასიათს. ამასთან იგი მიმოიხილავს ბანკის თანამშრომელთა სამუშაო პირობებსა და საქმიანობის თავისებურებებს. ბანკის თანამშრომელთა ძირითად კონტიგენტს წარმოადგენენ ქალები, რის გამოც კოლექტივის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა და ხელსაყრელი ატმოსფეროს უზრუნველყოფა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საბანკო მენეჯმენტი საყურადღებო ასპექტია, რაც ხელს უწყობს საწარმოს საქმიანობის ეფექტიან წარმართვას.

ფინანსური მენეჯმენტი

კურსში გათვალისწინებულია საწარმოს (ფირმის) ფინანსების მართვის პრობლემური საკითხები, საბანკო სესხის ბაზრისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხები, საწარმოს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში მარკეტინგისა და მენეჯმენტის თავისებურებები, ფირმის ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება.

დაზღვევის სამართალი

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: დაზღვევის ცნება; დაზღვევის ხელშეკრულების დადების ვალდებულება; სავალდებულო დაზღვევა; სადაზღვევო მოწმობა (პოლისი); სადაზღვევო მოწმობის სახეები; დაზღვევის დაწყების დრო; ხელშეკრულების მოშლა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ; სადაზღვევო შესატანი (სადაზღვევო შესატანის გადახდის ვალდებულება, პირველი სადაზღვევო შესატანი), სადაზღვევო შესატანის გადახდის შეწყვეტა; ზიანის ანაზღაურება (ზიანია ანაზღაურების ფარგლები); ქონების დაზღვევის თავისებურებანი, შემცირებული ან არასრული დაზღვევა; დაზღვევა სხვა პირის სასარგებლოდ; სიცოცხლის დაზღვევა; უბედურის შემთხვევის დაზღვევა.

საფინანსო სამართალი

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფინანსების ცნება და საქართველოს საფინანსო სისტემა; საფინანსო სამართლის ცნება, მნიშვნელობა და პრინციპები; საფინანსო-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობანი; ბიუჯეტი; საფინანსო კონტროლი (კონტროლის სახეები, კონტროლის პალატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, ადგილობრივი საფინანსო კონტროლი, აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი); საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საბანკო საქმიანობა; საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობებში.